რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ხუთშაბათი, 9 ნოემბერი 1917 წ.

# ბრძოლა

გაზეთი გამოდის ყოველ დღე. ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, Георгіевская ул. № 1, для груз. газ. „Брдзола". კორესპონდენციები და სხვა ყოველგვარი წერილები — რედაქციის სახელზე შემდეგი ადრესით: Тифлисъ. Гановская ул. № 3. Редакція груз. газ. „Брдзола". გაზეთი ღირს წლის ბოლომდე 4 მ., 1 თვით 2 მ. განცხადებები დაიბეჭდება მხოლოდ უკანასკნელ გვერდზე და სტრიქონი პეტიტის ღირს 20 კ.

ფასი 10 კ.

№ 30 რუსეთის ს.-დ. მუშ. პარ. (შეუმრავლესეთა) კავკ. საოლქო და თფილისის კომიტეტების ორგანო. № 30

## პირველი ნოემბრიდან გაზეთი
# ბრძოლა
## გამოდის ყოველდღიურათ.

გაზეთის ფასი: წლის დამლევამდე ღირს 4 მ.
ერთი თვით „ 2 მ.
ცალკე ნომერი „ — 10 კ.
მეგაზეთეებს მიეცემათ ცალი 07 კ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება: 1) „ბრძოლის" და „კავკ. რაბოჩის" კანტორაში, თფილისი, გიორგის ქუჩა № 1.

2) ჩვენი პარტიის თფილისის ოთხივე რაიონის ბიუროში.

3) ჩვენი პარტიის პროვინციის ყველა ორგანიზაციებში.

თფილისის ამხ. მუშებს და გაზეთის გამავრცელებლებს ვთხოვთ გაზეთი მოიკითხონ და გასავრცელებლათ წაიღონ სტამბიდან ყოველ საღამოობით, გარდა კვირა-უქმე დღეებისა. სტამბა—ამხანაგობა „ქართლი" ძველი სემინარიის ეზოში. შესავალი ლორის მელიქოვის ქუჩიდან. რედაქციის ადრესი: თფილისი, განოვის ქ. № 3.

**ამხანაგებო!** ხელი შეუწყვეთ ყოველმხრივ „ბრძოლას": მუშათა ორგანო მხოლოთ მუშებისავე ძალღონით და საშუალებით შეიძლება არსებობდეს.

# გაუმარჯოს
# საბჭოების
## რევოლიუციონურ მთავრობას.

მუშებო, სალდათებო, გლეხებო, მედგრათ დაუჭირეთ მხარი მუშების და გლეხების მთავრობას!

## ორი კოალიცია.

კოალიცია (კავშირი) პოლიტიკურ ცხოვრებაში შეიძლება არსებობდეს სხვა და სხვა საზოგადოებრივ კლასებსა და პარტიებს შორის.

თანამედროვე საზოგადოებას წარმოადგენს უმთავრესათ სამი კლასი: ბურჟუაზია (და მასთან ერთათ მემამულეები და ყველა გაბატონებული კლასები), პროლეტარიატი (ქალაქის მუშები და სოფლის ულარიბესი გლეხობა) და წვრილი ბურჟუაზია (უმთავრესათ გლეხობა, წვრილი ვაჭრები და ინტელიგენტები).

ბურჟუაზია ეყრდნობა კაპიტალის ძალას და სხვისი წარმოების მითვისებით ცხოვრობს. პროლეტარიატი ეყრდნობა მხოლოთ შრომას და თავს ირჩენს თავისი სამუშაო ძალის გაყიდვით. წვრილი ბურჟუაზია ფლობს კაპიტალს, მაგრამ რადგან ის მცირეთ მოეპოვება, იძულებულია შრომასაც დაემყაროს.

კაპიტალი და შრომა ძირიანათ უარყოფენ ერთმანეთს: კაპიტალი ყვლეფავს შრომას, შრომა კი ცდილობს მოსპოს კაპიტალის ბატონობა. ამიტომ მათი მატარებელი კლასები: კაპიტალისა—ბურჟუაზია და შრომისა—პროლეტარიატი დაუძინებელი მტრები არიან ერთმანეთისა. ბურჟუაზია სჩაგრავს პროლეტარიატს, ბატონობს მასზე და ცდილობს ეს ბატონობა გაახანგრძლივოს; პროლეტარიატი ებრძვის ბურჟუაზიას და ცდილობს ეს ბატონობა სავსებით მოსპოს, ბურჟუაზიის ბატონობის საფუძველს—კაპიტალს სავსებით ბოლო მოუღოს.

წვრილი ბურჟუაზია სავსებით ვერც კაპიტალს ემხრობა, რადგან კაპიტალი მასაც სჩაგრავს და ყვლეფავს და ვერც პროლეტარიატს ეკედლება, რადგან თითონაც ყვლეფავს სხვის შრომას. ის ხან ერთისკენ არის, ხან მეორესკენ, ის მუდამ რყევაშია.

როგორი კავშირი შეიძლება არსებობდეს ამ კლასებს შორის? ამ კლასების ურთიერთობას გამოხატავენ მათი მოწინავე რაზმები, რომლებიც იცავენ თავისი კლასის ინტერესებს და რომელთაც ეწოდებათ პოლიტიკური პარტიები.

კლასების მიხედვით რუსეთში არსებობს სამნაირი პოლიტიკური პარტია: ბურჟუაზიისა—კადეტები, წვრილი ბურჟუაზიისა—მენშევიკები და ესერები და პროლეტარიატისა—ბოლშევიკები.

ამ რევოლიუციის დროს ცხოვლათ წამოიჭრა კოალიციის საკითხი და ყველა პარტიამ თავისებურათ გადასწყვიტა იგი.

კადეტები მომხრე არიან ყველა კლასების სრული კოალიციის ბურჟუაზიასთან. კოალიცია—კავშირი ნიშნავს შერიგებას, შეთანხმებას, საერთო საქმის კეთებას ისე, რომ არც ერთ მოკავშირეს არაფერი დაუშავდეს. რევოლიუციის დროს ასეთი კავშირი ბურჟუაზიისთვის ნიშნავს რევოლიუციის მალე გათავებას, რომ დაჩაგრულ კლასებს არაფერი ერგოს და გაბატონებულ კლასებს კი არაფერი წაერთვას. თუ ასეთ კავშირზე ხელს აწერენ სხვა კლასები და ბურჟუაზიას კუდში მისჩანჩალებენ, მეტი რა უნდა ბურჟუაზიას,—ეს ძველი ჩაგვრა—ყვლეფის გახანგრძლივებას მოასწავებს, ამიტომაც ასე თავგამოდებით იცავენ ასეთ კოალიციას კადეტები.

მენშევიკები და ესერები მომხრე იყვნენ ბურჟუაზიასთან კოალიციის. მათ წარმოიდგინეს, რომ ბურჟუაზია რევოლიუციონური ძალაა და მასთან ერთათ მოინდომეს რევოლიუციის ბოლომდე მიყვანა.

ბოლშევიკები წინააღმდეგნი იყვნენ ბურჟუაზიასთან კოალიციის. ისინი ამბობდენ, რომ ბურჟუაზია კონტრ-რევოლიუციონური ძალაა, ის მუდამ ეცდება რევოლიუცია შეაფერხოს, და ხშოს და დაასამაროს. ამიტომ ყოველივე კავშირი უნდა გავწყვიტოთ ბურჟუაზიასთან და მის წინააღმდეგ ვაწარმოვოთ რევოლიუციის საქმეო.

მენშევიკები გამოხატავდენ წვრილ ბურჟუაზიულ რყევას, ვერ სწყვეტდენ კაპიტალთან კავშირს, ვერ გადავიდენ პროლეტარიატის მხარეს და მთელი რვა თვის განმავლობაში ბურჟუაზიასთან ერთათ თანამშრომლობდენ. ამ კოალიციის დამღუპველი შედეგი დღეს ყველამ იცის. მან ვერ გადაწყვიტა ვერც ერთი ძირითადი საკითხი რევოლიუციისა: ზავი, მიწა და თავისუფლება. ზავის მაგივრათ ომი უფრო გამწვავდა და გახანგრძლივდა, მიწა ისევ მემამულეებს უჭირავთ და თავისუფლების ნაცვლათ იწყეს პარპაში კონტრ-რევოლიუციონერებმა—კორნილოვებმა და კერენსკებმა.

ამის მიზეზი ერთათ-ერთი იყო: ნდობა ბურჟუაზიისა, მასთან თანამშრომლობა, მისი ნაჩვენები გზით სიარული, მასთან კავშირი—კოალიცია.

ეს მეტის-მეტათ აშკარა შეიქნა და მენშევიკ-ესერებმა ბოლოს უარყვეს რვა თვის ნაცადი გზა, უარყვეს ბურჟუაზიასთან კოალიცია.

მაგრამ უარყვეს და საქმით კი ყველაფერი ძველებურათ დასტოვეს. გათამამებული კონტრ-რევოლიუციონური ბურჟუაზია თავს დაესხა რევოლიუციონურ პროლეტარიატს, რომელიც ვერ ურიგდებოდა მის ბატონობას და მოინდომა მისი გასრესა.

პროლეტარიატი აღსდგა და რევოლიუციონურ ჯართან ერთათ დაამხო ბურჟუაზიული მთავრობა. მან შეადგინა ახალი მთავრობა, მუშების და გლეხების მთავრობა. აქ მარტო არ არის პროლეტარიატი, მას ყავს საიმედო მოკავშირე, ეს მოკავშირეა ულარიბესი გლეხობა და მისი წრიდან გამოსული ჯარი. აქაც არსებობს კოალიცია, მხოლოთ კოალიცია მშრომელთა კლასებისა.

მოკავშირე კლასებს შორის სრული თანხმობაა მოქმედებისა, პროგრამისა. ისინი ერთი მეორეს არ ეწინააღმდეგებიან, ერთმანეთს არ სჩაგრავენ.

გლეხობას უნდა მიწა და ამისთვის კი საჭიროა მემამულეთა კლასის მოსპობა, მიწაზე მემამულეთა კერძო საკუთრების გაუქმება. პროლეტარიატი სულით და გულით მომხრეა ამ ზომის, ისიც დაინტერესებულია მემამულეთა კლასის მოსპობაში, რადგან ეს კლასი კონტრ-რევოლიუციის ბურჯს წარმოადგენს.

პროლეტარიატს უნდა წარმოებაზე მუშათა კონტროლის შემოღება, რადგან უამისოთ არ შეიძლება სპეკულიაციის აღაგმვა, ლოკაუტების მოსპობა, არ შეიძლება კაპიტალისტებთან ბრძოლა. გლეხობას არამც თუ არაფერი აქვს ამის წინააღმდეგი, ის თითონაც დაინტერესებულია ამ საქმეში, რადგან მხოლოთ მაშინ გაიზრდება შრომის ნაყოფიერება, შეუძლებელი გახდება ფაბრიკა-ზავოდების უმიზეზოთ მიკეტვა, საქონლის გადამალვა და ათასგვარი მახინაცეები. მხოლოთ ამის შემდეგ მიიღებს გლეხობა ქალაქის ნაწარმოებს ხელსაყრელ ფასებში და გადასცვლის მასზე სოფლის ნაწარმოებს, რომელიც ქალაქს ეჭირება.

ორივე მოკავშირეებს ერთნაირათ უნდათ ზავი, რადგან ერთნაირათ არიან ომისგან განაწამები და განადგურებული.

მათი კავშირი მტკიცეა, მათ საერთო მტერი ყავთ—ბურჟუაზია და კიდეც ებრძვიან მას.

ამ ორი კლასის კოალიციამ ბურჟუაზიის წინააღმდეგ წამოშვა თავისი მთავრობა, მუშების და გლეხების მთავრობას რომელიც მედგრათ იცავს ორივე მოკავშირის ინტერესებს. მან ყოველივე კავშირი გასწყვიტა ბურჟუაზიასთან და შეუდგა მუშების და გლეხების ინტერესების დაკმაყოფილებას.

ამ მთავრობამ დაუყოვნებლივ გამოსცა დეკრეტი ზავის შესახებ, რითაც უდიდესი ნაბიჯი გადადგა სისხლის მღვრელ ომის დასაბოლოვებლათ. მანვე გამოსცა დეკრეტი მიწის შესახებ, რითაც გააუქმა მიწაზე მემამულეების საკუთრება. ის არ დააყოვნებს შემოიღოს მუშათა კანტროლი წარმოებაზე და საერთოთ ძლიერი იარაღი იქნება მუშების და გლეხების ხელში ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

უნდა დაუჭიროს თუ არა მხარი ამ ხალხურ მთავრობას ხალხის ყველა მეგობარმა? აქ ორნაირი პასუხი შეუძლებელია. ვინც ამ მთავრობას მხარს არ უჭერს, ის ბურჟუაზიას ეხმარება; ვინც ამ მთავრობას ეწინააღმდეგება, ის ეწი-

# გაუმარჯოს მუშების და გლეხების რევოლიუციას.

## მთელი ძალა-უფლება საბჭოებს.

### გაუმარჯოს ზავს! გაუმარჯოს ყველა ქვეყნის მშრომელთა მძობას!

ნააღმდეგება ომის გათავებას, მიწის გადასვლას გლეხების ხელში, არეულ-დარეული წარმოების მოწესრიგებას.

ბურჟუაზიას არა სძინავს. ის ებრძვის ამ მთავრობას, ცდილობს დაამხოს იგი. მაშასადამე, ვინც ხალხის მხარეს არის, მას არც განზე გადგომა შეუძლია; ის უნდა დაეხმაროს მთელი ძალღონით ახალ რევოლიუციონურ მთავრობას, რომ მან განახორციელოს ხალხის სასარგებლო საქმეები. ვინც ამ მთავრობას არ ეხმარება, ის ბურჟუაზიას ეხმარება, ის ხალხის მტერია.

ჩვენი მენშევიკ-ესერებიც სწორეთ ასეთ მტრობას უწევენ ხალხს. მათ მთელი რვა თვის განმავლობაში მშვენივრათ ითანამშრომლეს ბურჟუაზიასთან, დაივიწყეს ხალხის ინტერესები, სამაგიეროთ დაიცვეს ბურჟუაზიის და მემამულეების ინტერესები, ზავის ნაცვლათ ომი გააჭიანურეს, მიწა ძველ პატრონებს დაუტოვეს და არეულ დარეული მეურნეობა უფრო აწეწ-დაწეწეს. ისინი ბურჟუაზიასთან კოალიციას ერთობ ერდგულათ ემსახურენ, ამ კოალიციას შესწირეს ხალხის ინტერესები.

შეიქმნა მეორე კოალიცია: პროლეტარიატის და ღარიბესი გლეხობის, ამ კოალიციას არ სცნობენ მენშევიკები, მას ებრძვიან, სახელს უტეხენ.

მაშ რაღათ გასწყვიტეს კავშირი ბურჟუაზიასთან, რაღათ უარყვეს ბურჟუაზიასთან კოალიცია?

აშკარაა, ეს ან თვალთმაქცობა იყო, ან ჩვეულებრივი წვრილ-ბურჟუაზიული რყევა. ისინი კვლავ იხრებიან ბურჟუაზიისკენ, კვლავ უნდათ აღადგინონ მასთან კოალიცია და მაშასადამე განაგრძონ ომის პოლიტიკა, განაგრძონ ხალხის დატყუილება როგორც მიწის და პურის, აგრეთვე ყველა სხვა საკითხებში. მიტომაც არ უჭერენ მხარს ზავის მთავრობას, არ უჭერენ მხარს მის რევოლიუციონურ ნაბიჯებს მემამულეების და ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

ეს კარგათ უნდა გაითვალისწინონ მოკავშირე კლასებმა—პროლეტარიატმა და ღარიბესმა გლეხობამ და ზურგი შეაქციონ მუდამ რყევას, მუდამ ორჭოფობის, დალალობა შეთანხმების პარტიებს—ესერებს ან მენშევიკებს.

## მენშევიკების საარჩევნო ფანდები.*)

მენშევიკების საარჩევნო მოწოდებაში, სხვათა შორის, სწერია: „თქვენ უნდა აირჩიოთ ინტერნაციონალ სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წარმომადგენლები. მხოლოთ (!) ეს პარტია მედგრათ (!) იცავდა და დღესაც იცავს მუშების, გლეხების და საერთოთ დემოკრატიის ინტერესებს, განურჩევლათ სარწმუნოებისა და გვარტომობისა“.

ამ ამონაწერში ერთი დიდი სიყალბეა, სახელდობრ: მენშევიკური პარტია, შეიძლება, თავის შემადგენლობით ინტერნაციონალური იყოს, მარა საქმით, მოქმედებით ის არაა ინტერნაციონალისტური, ვინაიდან მას არაფერი საერთო არ აქვს ინტერნაციონალიზმთან, პირიქით მუდამ ებრძოდა და ებრძვის იმ პარტიებს, რომლებიც დგანან რევოლიუციონურ სოციალიზმის, ინტერნაციონალიზმის ნიადაგზე. მენშევიკური პარტია ობორონცული პარტიაა, და როგორც ასეთი, ის მუდამ იბრძოდა (და არც შეეძლო არ ებრძოლა) ინტერნაციონალისტების წინააღმდეგ. კონტრ-რევოლიუციონურ ბურჟუაზიასთან ხელიხელ ჩაკიდებული, შეხმატკბილებული, ე. წ. „რევოლიუციონური ობორონცობა“ და სოციალისტური ინტერნაციონალიზმი—არის ერთი მეორის მოწინააღმდეგე შემეცნება: ერთის გაძლიერება იწვევს მეორის დასუსტებას და პირიქით. ერთი აფრიალებს დროშას პროლეტარულს: „მთელი ქვეყნის პროლეტარებო და ტვირთმძიმენო, შეერთდით მთელი ქვეყნის ბურჟუაზიის წინააღმდეგ“ მეორის დროშაზე სწერია: „მთელი ქვეყნის მუშებო, ჟლიტეთ ერთმანეთი საერთაშორისო ბურჟუაზიის სადღეგრძელოთ“. ამას აშკარათ მოწმობს ჩვენი რევოლიუციის რვა თვის ისტორია.

ტყუილია ისიც, რომ მენშევიკური პარტია მედგრათ იცავს მუშების და გლეხების ინტერესებს. დღეს ყველასათვის აშკარა უნდა იყოს, რომ მენშევიკებმა პირდაპირ უღალატეს, როგორც მუშების, ისე გლეხების ინტერესებს. გავიხსენოთ მათი დამოკიდებულება საბჭოების მიერ სახელმწიფო ძალა-უფლების ხელში ჩაგდების საკითხთან. რევოლიუციის საბოლოოთ გასამარჯვებლათ აუცილებლათ საჭიროა, რომ ეს ძალა-უფლება საბჭოების ხელში გადავიდეს (რაც 24—25 ოქტომბერს უკვე განხორციელდა). მენშევიკები კი სასტიკათ წინააღმდეგი არიან დღევანდელი რევოლიუციონური მთავრობის, მუშათა, სალდათთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების მთავრობის, რომელსაც ერთადერთს შეუძლია რადიკალურათ გადასჭრას რევოლიუციის ძირითადი საკითხები. სხვა და სხვა ჯურის ნაციონალისტებს, რომლებსაც სამართლიანათ გმობს მოწოდება, უპირდაპირდებიან არა მენშევიკები-ობორონცები (ჩვენებური მენშევიკები კი საქმით ყველა ობორონცებია), არამედ მხოლოთ ნამდვილი ინტერნაციონალისტები, ე. ი. ბალშევიკები.

გავყვეთ ქვევით. მოწოდება საშინლათ კიცხავს კადეტების პარტიას და უწოდებს მას აშკარა იმპერიალისტურ და კონტრ-რევოლიუციონერ პარტიას, პარტიას კორნილოვებისას.

საოცარია! მთელი ექვსი თვის განმავლობაში მენშევიკები მუდამ იმას გაიძახოდენ, რომ კადეტები პროგრესიული პარტიას რომელთანაც დღევანდელ ბურჟუაზიულ რევოლიუციაში ჩვენ ერთათ უნდა ვიაროთო. მართლაც მთელი მათი პოლიტიკა, მომრიგებელი შემთანხმებელი, დალალური მაჭანკლები, ობარონცული ამ მოსაზრებას, ემყარებოდა. დღეს კი, კარნილოვის გამოსვლის შემდეგ, ჩვენებურმა მენშევიკებმა სიტყვით ზურგი შეაქციეს კადეტებს და ლანძღავენ მათ შეუდარებელი გულმოდგინებით, მარა საქმით დღესაც მათი პოლიტიკა წმინდა ობორონცულია, ვინაიდან მჭიდრო კავშირი აქვს რუსეთის ობორონცებთან, რომლებიც სამკვდრო სასიცოცხლოთ ებრძვიან (ლიბერდან-გოც-წერეთელ—ავქსენტიევის მეთაურობით) დღევანდელ რევოლიუციონურ მთავრობას.

„არც ერთი ხმა ამ კონტრ-რევოლიუციონურ პარტიას“—ამბობს მოწოდება. მართალია: არც ერთი ხმა კადეტებს. მაშ ვისა? კონტრ-რევოლიუციონურ და იმპერიალისტურ პარტიას უპირდაპირდება ჩვენში ერთად ერთი ბოლომდე რევოლიუციონური და ინტერნაციონალისტური პარტია—ბალშევიკები, რომლებსაც უნდა მისცეს ხმა თვითეულმა დემოკრატ მოქალაქემ.

მოწოდება სასტიკათ ილაშქრებს ჩვენ წინააღმდეგაც: „საარჩევნო ბრძოლაში მონაწილეობას იღებს პარტია, რომელიც რუსეთის სოციალ-დემოკრატიული დროშით გამოდის, მაგრამ ფაქტიურათ მან უკვე კავშირი გასწყვიტა (!) სოციალ-დემოკრატიის საუკეთესო ტრადიციებთან. ეს არის ფრაქცია (?!!) ბალშევიკების (5). სოციალ-დემოკრატია აკავშირებს მუშათა კლასს და ყოველგვარ იმედებს ხალხის მასაზე ამყარებს. ბალშევიკები უკვე მოსწყდენ (!!!) რევოლიუციონურ დემოკრატიას და მის რაზმებში არევ-დარევა შეაქვთ. ბალშევიკების უკანასკნელი გამოსვლა პეტროგრადში შეთქმულობის შემწეობით ძალა უფლების ხელში ჩასაგდებათ ძირიანათ ეწინააღმდეგება მასის რევოლიუციონურ მოძრაობას და ამიტომ არ შეიძლებოდა დამარცხებით (?!) არ დასრულებულიყო. ბალშევიკებმა შეუგნებლათ (რა ლმობიერები არიან) ემსახურებიან რევოლიუციის დაქუცმაცებას, მის ძალთა გათიშვას, რადგან მას (რას?) მოყვება კონტრ-რევოლიუცია.

აქ რამდენი ფრაზა, სიტყვა, წერტილი და მძიმეა, იმდენი (მეტიც! ასით ამწყ.), ჭორი, სიყალბე, სიცრუე, ცილისწამება და უსუსური გესლი—გაბოროტებაა. ვინაიდან, ვინ არ იცის დღეს, რომ: 1) ჩვენი პარტია არის პარტია რევოლიუციონური სოციალდემოკრატიის, ე. ი. იგი საუკეთესოთ შემნახველი, დამცველი და ცხოვრებაში გამტარებელია სოციალ-დემოკრატიის დიადი ტრადიციების; 2) სწორეთ ჩვენი პარტია არის ერთადერთი (რუსეთში) პარტია პროლეტარიატის, რომელიც ემყარება ხალხის რევოლიუციონურ მასას; 3) ბალშევიკები მოსწყდენ ე. წ. „რევოლიუციონურ დემოკრატიას“, რომელსაც კავშირი მთლათ ჯერ კიდევ არ გაუწყვეტია ყოველი ჯურის ობორონცებთან, რომელსაც კიდევ სწამს (ამაოთ) ამ პარტიების რევოლიუციონერობა, დემოკრატობა და სოციალისტობა. ბალშევიკების სიძლიერის და ძლევამოსილების წყარო ნამდვილი, რევოლიუციონური დემოკრატიაა—მუშების, სალდათების და გლეხების სახით, რომლებთანაც ჩვენი პარტია მჭიდროთ, სამუდამოთ შეკავშირებულია სულით და ხორცით, შეგნებით და კლასიური ინტერესებით, რევოლიუციონური სისხლით. არავითარ ძალას მათი გათიშვა დღეს აღარ შეუძლია, სიკვდილსაც კი; 4) პეტროგრადის აჯანყება ბალშევიკების მეთაურობით ბრწყინვალე გამარჯვებით გათავდა; ამ აჯანყებას მხარი დაუჭირა მთელმა რევოლიუციონურმა რუსეთმა; ამ აჯანყებით დაიწყო მესამე, უდიდესი რევოლიუცია მთელ მსოფლიოში. ეს ისეთი ფაქტია, რომლის უარყოფა შეუძლია მხოლოთ უგუნურთ ან უტიფართ, რომლებიც მთელ თავის იმედს საარჩევნო კომპანიაში ამყარებენ ამრჩევლების შეუგნებლობასა, მეშჩანურგულუბრყვილობაზე. ამის უარყოფაც შეუძლია მხოლოთ რევოლიუციის და სოციალიზმის მოსისხლე მტერთ და მყვირალა რეკლამისოსტატებს*) მოწოდების ავტორნი ვერ ბედავენ თქვან: არც ერთი ხმა ბალშევიკებსო ეს პოლიტიკური სილაჩრე, თაღლითობა—ფარისევლობა, ორ სკამზე ჯდომა, სამარცხვინო ულოღიკობა. ვინაიდან ასეთი დასკვნა (ხმის არ მიცემა) აუცილებლათ გამომდინარეობს მათი დებულებებიდან.

თედორე.

(დასასრული იქნება.)

## მუშათა წერილები

### ამხანაგებო!

ზოგიერთი მუშები ამბობენ, კარგია კერენსკის მთავრობის ჩამოგდება, და ეს კიდეც შეასრულეს ბალშევიკებმაო; მაგრამ ხალხის სისხლი დაიღვარაო და ეს კარგი არ არისო. ამაში ამტყუნებენ ამხ. ლენინს და საზოგადოთ ბალშევიზმს.

ამხანაგებო, მართალია ყოველი ჭკუაში მყოფი კაცი დაგეთანხმებათ, რომ სისხლის დაღვრა კარგი არ არის, მაგრამ როცა ეს აუცილებელია და ეს მთელი ქვეყნის მშრომელი ხალხის ბედნიერებასაც გვიქადის მაშინ აღარ უნდა დავინანოთ არც ჩვენი სისხლი და არც სხვისი, თუ ჩვენ რევოლიუციონერები ვართ და ეს სისხლი აბედნიერებს ათას წლობით გაყვლეფილ, დატანჯულ ხალხს

მეოთხე წელიწადია ხალხის სისხლის ტბები, მორევები, ღელეები, მდინარეები დააყენეს ბურჟუა იმპერიალისტებმა, კაპიტალისტებმა მეფაბრიკეებმა იმისთვის, რომ ერთი მუჭა მდიდრების ინტერესები დაეცვათ და ჯიბეები გაეტენათ. და როცა ამის წინააღმდეგ გამოდის ხალხი და იარაღით მოითხოვს თავის უფლების აღდგენას, ეს არის რევოლიუცია, რომელსაც ისე მოუთმენლათ მოელის მთელი ქვეყნის დაჩაგრული ხალხი. და ეს კი არ უნდა გავკიცხოთ, არამედ უნდა შეუერთდეთ მათ ყოველი ჩვენი ღონე, ძალა, სისხლი და ხორცი, უნდა შევუერთდეთ მათ ბრძოლას, რომ ისინი გამარჯვებული გამოვიდნენ ამ ბრძოლიდგან, და არა შორიდგან უყუროთ და

---

*) იხ. „ბრძოლის“ № 29.

*) ბალშევიკები რევოლიუციას კი არ აქუცმაცებენ, არამედ ხელს უწყობენ მის დარაზმვას, მთელი რუსეთის ნამდვილ რევოლიუციონურ ელემენტებიდან ქმნიან ერთ ბანაკს, რაზმს, უძლეველ ლაშქარს, ვინაიდან დროშა ბალშევიკების ეს არის დროშა ხალხის, დემოკრატიის, დროშა მუშების, სალდათების და გლეხების. ბალშევიკები ანმარტოვებენ მხოლოთ კონტრ-რევოლიუციას და ყოველი ჯურის მომრიგებლებს, დალალ-მაჭანკლებს და ორ სკამზე მჯდომთ აიძულებენ: ან ერთ ბანაკს მიეკედლონ, ან მეორეს, უამისოთ ეს უკანასკნელნი სწყდებიან ცხოვრებას და სრულიათ ირიყებიან.

F. 247 № 490



მორიგებაზე ველაპარაკოთ. რანაირათ შეიძლება გგლეტაკებული პროლეტარიატის მუშების და გლეხების მორიგება გასუქებულ და გამდიდრებულ გუჩკოვებთან, მილიუკოვებთან და კალედინებთან კერენსკისთან. ჩვენ ვიცით, ამათ კერენსკის მეთაურობით პროლეტარიატის ინტერესების დამცველი ბოლშევიკები ციხეებში ჩაამწყვდიეს და მოლაღატე კორნილოვი ქალების გიმნაზიაში მოათავსეს. ტელეფონებით და რემინგტონებით მოაწყვეს. კალედინი ეს მოსისხლე კონტრ-რევოლიუციონერი ხელ უხლებლათ დატოვეს და ყაზახების ჯარების სათავეში მოაქციეს რევოლიუციონერების დასაფრთხობათ.

ამხანაგებო! მოხდა ის, რაც აუცილებელი იყო, ესე იგი ახალი რევოლიუცია და ჩვენი მოვალეობაა მივიღოთ მხურვალე მონაწილეობა და არა გულ ცივათ ვუყუროთ მას.

მაშ გაუმარჯოს ახალ რევოლიუციას. გაუმარჯოს ხალხს, სოციალ-დემოკრატიას გაუმარჯოს სოციალიზმს!!!,

ზ. ჩხეიძე.

---

მოხდა ის რასაც სამართლიანობა მოითხოვდა; რუსეთის პროლეტარიატმა დაამხო მოღალატე კერენსკის მთავრობა; დამარცხდა ის ბურჟუა კაპიტალისტების ლიდერები, რომელნიც ყოველგვარ ძალ-ღონეს ხმარობდენ პროლეტარიატის წინააღმდეგ და ავრცელებდნენ ათას ნაირ ჭორებს ბალშევიკების შესახებ, რათა ჩამოეგდოთ ძმათა შორის მტრობა და შუღლი. მაგრამ სიმართლე გამოაშკარავდა, რასაც სხვებს აბრალებდენ, ის მათ თავზე დაატყდათ. გაიხსენეთ დიქტატორი კერენსკის მოქმედება, როგორ გაილაშქრა მან პეტროგრადის პროლეტარიატის სისხლის დასაღვრელად; გაიხსენეთ, ის თუ როგორ ამერთებდენ კერენსკის და მის მთავრობას ჩვენი მენშევიკ-ობორონცები. გაიგეთ ისიც, თუ ვინ ყოფილა ღლერევოლიუციის მტერი, კერენსკის მთავრობა თუ ლენინელები: ეხლა დამფუძნებელი კრებაც გვაახლოვდება, ე. ი. საძირკველის ჩაყრა ახალი შენობისათვის; ამისათვის ვეცადოთ ამხანაგებო, რომ საძირკველად დაშენდეს ის უდრეკი „რკინათა რკინა“, მებრძოლი მუშათა ინტერესების დამცველი ამხანაგები, რომლებიც შესძლებენ მუშა ხალხის პირობების გაუმჯობესებას; დღეს ყველასათვის ცხადია ვისი ლოზუნგი მოითხოვს ამ წყეული ომის დაუყოვნებლივ ლიკვიდაციას, თუ ვინ მოითხოვს მიწის მუშის ხელში გადასვლას და სხვ. ეხლა ყველა ამაზედ ლაპარაკი ზედ მეტია, რადგან ეს შმარიტებამ უკვე ფრთები შეისხა და საყოველთაოდ მოეფინა მთელი ევროპის პროლეტარიატს.

დღეს ყველა პარტიები დაინტერესებულია, რომ თავიანთი კანდიდატები გაიყვანონ არჩევნებში, ამისათვის აძლიერებენ ფონდს, როგორც ფასიან ლექციებით და წარმოდგენებით, აგრეთვე კერძო შემოწირულებითაც; და ჩვენ კი ამ ნაგვიერ ცოტათი სალათას ძილს მივეცით, ნაკლებათ იხმის ჩვენი ინტერესების დამცველი გაზეთის შემოწირულება, ნაკლებათ ისმის დამფუძნებელი კრებისათვის რაიმე შემოსავალის გადება!.. მოვიგონოთ ამხანაგებო ის თქმულება, „ძმა ძმისთვის და შავი დღისთვის“-ო აი. სწორეთ ეხლა გვმართებს ჩვენ ეს, გაუწოდოთ ხელი შეძლების და გვარად ჩვენ ორგანოებს, რათა ის არ დარჩეს ჩამორჩენილი სხვებზე!.. როგორც გამდიდრებულმა „ერთობამ“ დასცინა ჩვენს ღარიბ „ბრძოლას“ სიღარიბის გამო, რომ, „ბალშევიკები საწყლად აცოცხლებენ თავიანთ გაზეთ „ბრძოლას“-ო. ეს სირცხვილი მათი. მეტი არაფერი.

ეხლა შეუდგეთ ამხანაგებო არჩევნების მზადებას, მოვაწყოთ ფასიანი ლექცია—წარმოდგენები; გადავდვათ თითო დღის ნამუშევარი დამფუძნებელი კრების სასარგებლოდ; მაშ გაუმარჯოს 5 ნომერსიას, გაუმარჯოს სოციალურ რევოლიუციას, გაუმარჯოს სახალხო კომისართა საბჭოს, გაუმარჯოს სოციალიზმს.

ს. ფარცხმელი.

---

# პარტიის ცხოვრებიდან.

---

### დეპეშა.

ქუთაისის საგუბერნიო (მეუმრავლესეთა) კონფერენციამ, მოისმინა რა კავკასიის კომიტეტის მისალმება, მოხარულია პასუხათ მოგესალმოთ თქვენ, ამხანაგებო; მიესალმოს პეტროგრადის და მთელი რუსეთის მებრძოლ პროლეტარიატს. მზადა ვართ საერთო იდეალს შევსწიროთ მთელი ჩვენი ძალ-ღონე; გაუმარჯოს მუშათა რევოლიუციას, გაუმარჯოს სოციალიზმს!

საგუბერნიო ბიურო.

---

### ქუთ. საგუბ. კონფერენცია.

კონფერენციას დაესწრენ ხონის, ფარცხანაყანების, ლანჩხუთის, კუბის და ქუთაისის წარმომადგენლები: პირველათ კრებამ მოისმინა სხვადასხვა მისალმება

კავკასიის საოლქო კომიტეტის მისალმების პასუხად კრებამ დაავალა პრეზიდიუმს საპასუხო მისალმების გაგზავნა, დელეგატების მოხსენებიდამ გამოირკვა: იქ, სადაც მეუმრავლესეთა ორგანიზაციები არსებობს, გავლენა და წევრთარიცხვი დიდია და დღითი-დღე იზრდება. სადაც ასეთი ორგანიზაცია არ არსებობს, იქ ნიადაგი ჩვენი გავლენის განმტკიცებისათვის დიდია; საჭიროა ცენტრიდგან დამხმარე ძალები;

კრება ადგენს: 1. ხონის ორგანიზაციას ევალება, ვინაიდან ძალები საკმაოდ მოეპოება, გააფართოვოს თავის მოქმედების რაიონი ირგვლივ, მეზობელ რაიონებში.

2. გურიისათვის სასწრაფოდ ეთხოვოს თფილისის ამხანაგებს გამოყონ ორი ან ერთი ამხანაგი (სასურველია თ. კ—ძე).

3. ზუგდიდის მაზრაში იგზავნება ამხ. ა. გ—რი.

4. სენაკის მაზ. იგზავნება ვ. კ—კი.

5. ქუთაისის მეზობელ და ახლო მდებარე რაიონებს დახმარება უნდა გაუწიოს ქუთაისის კომიტეტმა,

6. ჭიათურაში და ტყიბულში არსებული ჯგუფების მუშაობის გაღვივება და გაძლიერება ევალება საგუბერნიო ბიუროს.

კრებამ აირჩია დროებითი საგუბერნიო ბიურო შემდეგი შემადგენლობით.

2 ამხანაგი ქუთაისის კომიტეტის წევრი: 1—ხონი და სამტრედიის რაიონის, 1—სამეგრელოს და 1—გურიის.

შემდეგ კრებამ განიხილა ამხნ. ვ. წინადადება მიწის შესახებ დეკრეტის ცხოვრებაში გატარების შესახებ და დაადგინა:

სასწრაფოთ მიმართოს სოფლის მუშებს ვრცელი საკმაოდ დასაბუთებული და გაშუქებული ფურცლით, რომელშიაც უნდა მოუწოდოს მათ საადგილმამულო კომიტეტების ორგანიზაციისაკენ ადგილ-მამულის ხელში ჩასაგდებათ.

შემდეგ კრებამ განიხილა დაწვრილებით და შეიმუშავა ტექნიკური მხარე საარჩევნო კომპანიის: მიტინგების, აგიტაციის და ლიტერატურის (გაზეთების, ფურცლების და ბიულეტენების) გავრცელების მოწყობა,

დროებითი ბიუროს დაევალა ახლო მომავალში ორგანიზაციის გაფართოებისთანავე ახალი კონფერენცია მოიწვიოს.

---

### ბუქის-ციხე (გურია).

15 ოქტომბერს მოხდა ადგილობრივ „იაჩეიკის“ წევრთა კრება, იაჩეიკა მენშევიკურია და წევრები ორის გარდა (ერთი ბალშევიკი მეორე ინტერნაციონალისტი) ყველა „წერეთლისტებია“, ეს გარემოება იმით აიხსნება, რომ ლადიკო ს—ძე, რომელიც ამ სოფელში „ლიდერობს“, ჭეშმარიტებათ მხოლოდ მას თვლის, რასაც წერეთელი იტყვის. პარტიის წევრთა დიდი უმრავლესობა კი ხელ ალებით მის ნათქვამს იჯერებს. თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ამხ. პრაპ. დომენტი შარაშიძე (ბალშევიკი). კრების მიზანს შეადგენდა: გაცნობა და გარკვევა სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში არსებულ მიმდინარეობათა. მათი ტაქტიკა დღევანდელ მომენტში და კამათის შემდეგ რეზოლიუციის გამოტანა ვრცელი მოხსენება წაიკითხა ამხ, გრიშა შარაშიძემ (ინტერნაციონალისტი) მოხსენება დაიწყო რ. ს.-დ. მ. პ. „რასკოლის“ ისტორიით, პირველი „რასკოლნიკები“ ჩვენ ვიყავით მენშევიკებიო, სთქვა მომხსენებელმა, მაგრამ უმთავრესი უთანხმოება პარტიაში გამოიწვია ბურჟუაზიის საკითხმა. მენშევიკები ამტკიცებდენ, რომ ბურჟუაზია დიდ დახმარებას გაგვიწევს აბსოლიუტიზმის დამხობაში, ისინი რევოლიუციონერები არიან და სხვა. ამის დასამტკიცებლად მათ მოყავდა საფრანგეთის რევოლიუციებიდან სხვა და სხვა მაგალითები და მათთან ერთად კოალიციას აღიარებდენ ბალშევიკები კი ეუბნებოდენ, რომ ბურჟუაზია არ არის რევოლიუციონერი, რადგანაც საფრანგეთის ბურჟუაზიისა 1789 წ. და რუსეთის ბურჟუაზიის შორის დღეს დიდი განსხვავებაა. 130 წლის განვითარებამ ყველა კაპიტალისტურ ქვეყნებში ბურჟუაზია კონსერვატორ კლასათ აქცია. ის დ რაჯათ უდგას არსებულ წესებს და სასტიკათ ეწინააღმდეგება ყოველ-გვარ რევოლიუციონურ მოძრაობას, რადგანაც არსებულ ეკონომიურ პირობებში რევოლიუცია შეუძლებელია ისე, რომ ღრმა ცვლილება არ მოახდინოს ევროპაში და თვით ბურჟუაზიულ წყობილებას საგრძნობი რყევა არ განაცდევინოს. ეს კარგათ აქვს გათვალისწინებული რუსეთის ბურჟუაზიას და ის რევოლიუციას ძალიან უფრთხისო. ამ საკითხში და აგრეთვე ომის საკითხშიაც, არა თუ რუსეთის სოციალ-დემოკრატია, მთელი ქვეყნის სოციალისტური პარტიები ორათ გაიყო; ერთ გვერდზე იდგა უმცირესობა ლიბკნეხტ-ადლერ-მაკლინის მეთაურობით, მეორე გვერდზე უმრავლესობა შეიდემან-ტომასემბა-ვანდერველდე-პლეხანოვის მეთაურობით, რომლებიც მოითხოვდენ „სამშობლოს“ დაცვას მტრის „თავდასხმისაგან“, უკანასკნელნი ერთი მეორეს უწოდებდენ თავდამსხმელებს. ომის განვითარებამ ჩვენ დაგვანახა, თუ როგორ იზრდება „უმცირესობა“ და კლებულობდა „უმრავლესობა“. რუსეთშიაც მენშევიკები უმრავლესობას წარმოადგენდენ, მაგრამ ამ უმრავლესობის ტაქტიკა—ბურჟუაზიასთან კავშირი დამღუპველი შეიქნა რევოლიუციისთვის, როგორც ამას თავიდანვე ამბობდენ ბალშევიკები და შიგნიდანვე გაჩნდენ ინტერნაციონალისტები. რომლებმაც სამუდამოთ გასწყვიტეს კავშირი ობორონცებთან და აღიარეს, რომ ჩვენ უფრო მეტი გვაქვს საერთო ბალშევიკებთან, ვიდრე თქვენთან—ობორონცებოვო, ბალშევიკებსა და ჩვენს შორის, უთანხმოებას იწვევს მხოლოდ სოციალისტურს რევოლიუციის საკითხი, რასაც დღეს ცოტა ნაადრევათ ვთვლით ჩვენ ინტერნაციონალისტებიო. დასასრულ ამხ. მომხსენებელმა მოუწოდა გამოეტანა ისეთი რეზოლიუცია, რომელიც გამოხატავდა ბურჟუაზიასთან სავსებით კავშირის გაწყვეტის სურვილს. სანამ კონოვალოვ-კიშკინები სამინისტროში, ჩვენ იმედი არ გვაქვს რევოლიუციის გამარჯვების და დამფუძნებელი კრების მოწვევის. მმართვა-გამგეობა აუცილებლად დემოკრატიის ხელში უნდა გადმოვიღესო, დაასრულა მომხსენებელმა.

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი, მოხსენების წინააღმდეგ არსებითად ვერაფერი თქვეს, გარდა იაფ-ფასიან დემაგოგიისა, რომ წერეთელი საშინალ კატორღაში იჯდა, რომ ის ცუდს არ მოინდომებს დემოკრატიისთვის და სხვა. წაიკითხავს გაზეთიდან წერეთლის სიტყვები, რითაც უნდოდათ დაერწმუნებიათ პარტიის წევრები, რომ რასაც წერეთელი ამბობს, ყველაფერი მართალია. ილაპარაკა პორ. ცინცაძემაც, რომელიც სამი დღის წინ ამბობდა ინტერნაციონალისტი ვარო, ხოლო იმ დღეს ლონტის ბროშიურით ვაგვიმასპინძლდა და სთქვა, ჩვენ თავს ვიცავთ იმპერიალისტურთა თავდასხმისაგანო, ინტერნაციონალი ცხოვრებამ დაამარცხაო და სხვა. პ. ცინცაძეს იმპერიალიზმი მარტო გერმანიის ბურჟუაზიაში დაუნახავს ჩვენში კი არა. როდესაც ჯერი მიდგა ამხ. დ. შარაშიძის და მომხსენებლის საპასუხო სიტყვაზე, კრება დახურულათ გამოაცხადეს, გაგრძელება შემდეგისთვის დანიშნეს, მიზეზათ უდროობა დაასახელეს.

კრების გაგრძელება მოხდა 21 ოქტომბერს, საღამოს 8 ს. ამხ, თავმჯდომარე გადაყენებულ იქნა ვითარცა ბალშევიკი და „ანარქისტი“. ახალმა თავმჯდომარე მიხაკო შარაშიძემ კრება გახსნილათ გამოაცხადა. ლადიკო- „ლიდერმა“ შემდეგი წინადადება შემოიტანა: „ვინაიდან ჩვენ არ გარდვიქნებით და აზრს ვერ შევიცვლით ამ კაცების ლაპარაკით, კამათს ნუ განვაახლებთ და ორგანიზაციულ კითხვებზე გადვიდეთო“. მომხსენებელმა ითხოვა 15 წუთი, რომ ზოგიერთ კითხვებზე პასუხი გაეცა, როგორც ამას საყოველთაო წესი მოითხოვდა. კრებამ თხოვნა არ შეიწყნარა (რაკი ლადიკომ ზედმეტათ მიიჩნია) ხოლო მისი წინადადება მიღებულ იქნა ორის წინააღმდეგ.

მეტათ საინტერესოა მკითხველისთვის, თუ რაში მდგომარეობდა ეს „ორგანიზაციული კითხვები“. ღამის 1 საათამდე მხოლოთ იმაზე ილაპარაკეს, თუ ვინ როგორ დაჩეხა ღორი, ვინ ძროხები ფშუკაში არ გაუშვა, და ღობე გადააკავა და სხ.

აღსანიშნავია ის, რომ „პარტიის წევრები“ ღორის დაჩეხის შესახებ „მოხსენებას“ (რომელიც თითქმის 1 საათი გაგრძელდა). უფრო დაკვირვებით უსმენდენ, ვიდრე მიმდინარე მომენტზე კამათს, რომლის დროსაც ბევრს ძილი მოუვიდა. შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ ასეთი ორგანიზაცია იშვიათია და გამონაკლის შეადგენსო; მაგრამ არა თუ

გამონაკლისი, ეს იაჩეიკა საუკეთესოთ ითვლება სხვებთან შედარებით, მასში გაცილებით მეტი მოწინავეები ითვლებიან, ვიდრე სხვაგან. სხვა მენშევიკურ იაჩეიკებში მღვდელ-დიაკვნები ისე გრძნობენ თავს როგორც საკუთრებულში, ხშირი მოვლენაა „პარტიაში" დეზერტირებიც ასეთ „ორგანიზაციებს" კი დიდი მასწავლებლის კარლ მარქსის მოძღვრებასთან საერთო არა აქვს რა, ასეთი დომხალი სოციალ დემოკრატიულ ორგანიზაციათ არ შეიძლება ჩაითვალოს, მიუხედავათ იმისა, რომ საწევროფული „წესიერათ" შემოდის.

**ბუკისციხელი.**

## მუშათა შორის.

სამ ნოემბერს თფილისის მთავარ სახელოსნოებში გაიმართა მიტინგი, სადაც გამოვიდენ ორი პარტიის მენშევიკების და ბოლშევიკების წარმომადგენლები, რომელთაც დაახასიათეს დღევანდელი მომენტი. პირველ ორ ორატორს შემდეგ კრების წესრიგი დაარღვიეს, მოახდინეს აბსტრუქცია, და მიტინგი გაიყო ორ ბანაკათ, რომელნიც არ აძლევდენ ლაპარაკის საშვალებას მოწინააღმდეგე ორატორებს. ბოლოს ერთმა ნაწილმა, რომელიც თანაუგრძნობდა მენშევიკებს, კრება დატოვა მენშევიკ—ორატორთან ერთად. მეორე ნაწილმა, დაახლოვებით 400-500 კაცმა, განაგრძო კრება და ერთხმათ მიიღო ბოლშევიკების მიერ წარდგენილი რეზოლიუცია, სადაც კრება მიესალმება პეტროგრადის პროლეტარიატს, სალდათებს და მატროსებს, რომელთაც სძლიეს კონტრ-რევოლიუციონური ბურჟუაზიულ მემამულური მთავრობა კერენსკის მეთაურობით და ენერგიულათ უჭერს მხარს ახალ მთავრობას მუშებისას და გლეხებისას, რომელიც ისახავს მიზნათ ხალხის სამსახურს და კონტრ-რევოლიუციის ალაგმვას.

P. S. „ერთობას" 189 ნომერში ვიღაც „დამსწრე" ეხება ამავე მიტინგს და ამბობს, რომ ბოლშევიკ ორატორებმა ბატონი და მოღალატე (რევოლიუციის) უძახეს ობორონცების მეთაურებს, მაგ. წერეთელს და სხ. ნუთუ ეს (ობორონცების მოღალატობა) ახალი ამბავია ავტორისათვის? მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ მას მთელი რვა თვის განმავლობაში „ყურზე სძინებია." ავტორიტეტები ჩვენც გვწამს, მარა კერპთ მსახურება კი, მეტადრე პოლიტიკაში, მავნებლათ მიგვაჩნია.

რაც შეეხება ლანძღვა-გინებას, — პირად შეურაცყოფას, უბრალო სამართლიანობა მოითხოვს ვაღიაროთ, რომ მენშევიკ—ესერებმა ე. გეგეჭკორმა პირველმა „გადაისროლა ხელ-თათმანი" მხ. კორნილოვ—ლოგინოვის მიმართ, რაზედაც შესაფერი პასუხი მიიღო, მართალია, მოხდა სკანდალი, მარა ამაში მეტი წილი გეგეჭკორს მიუძღვის.

**დამსწრე**

## დეპეშები

**ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა გაფიცვის შესახებ.**

**პეტროგრადი.** 6 ნოემბრის ბიულეტენი № 1. ბრძოლა კერენსკისთან, რომელიც კრასნოე-ალექსანდროვსკოე-ცარსკოე სელოს—ხაზზე სწარმოებდა, დახრულდა. მოხდა მორიგება. კერენსკის შტაბი, მისი ჯარის აფიცრობა და კაზაკები პირობისამებრ დღეს ფრონტზე მიდიან. ქალაქში მშვიდობიანობაა. მარა ლუგასთან ჯერ ისევ სდგას კერენსკის ჯარი სამი ეშელონი ზარბაზნებით, რომლებიც აქ დვინის ფრონტიდან მოსულან აჯანყების ჩასაქრობათ და ახლა არ იციან, რა ქნან, ისევ უკან გაბრუნდნენ. თუ ხრა,

სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებათა ერთი ნაწილი პროტესტის ნიშნათ ჯერ კიდევ გაფიცულია.

შენობები პეტროგრადში ისე რიგათ დაზიანებული არაა. მხოლოთ სანოვაგის ნაკლებობას გრძნობს ხალხი.

დეკრეტი ზავის შესახებ გადათარგმნილია ყველა ენაზე და მთელ ავსტრია გერმანიის ფრონტზე ვრცელდებ, როგორც რუსეთის ჯარში, ისე ავსტრია—გერმანიაში ჰაეროპლანების საშუალებით ზევიდან, ხოლო ძირს თხრილებისა და სანგრების გზით.

ახალმა მთავრობამ დროებით დაკეტა შვეციის საზღვარი, იქეთ რავის უშვებენ. ახალი ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და სამხედრო-რევოლიუციონური ყოველ დღე აუარებელ აგიტატორებს და ემისარებს გზავნიან სოფლათ, რომ ყველგან აუხსნან ხალს ახალი რევოლიუციის მნიშვნელობა და დაამყარონ ახალი რევოლიუციონური წესიერება: აგიტატორებათ და ემისარებათ თვითონ მუშები და სალდათები მიდიან, რომელთა მოწმობები ხელმოწერილია ახალი მინისტრის ავილოვის მიერ.

გამოაქვეყნეს ახალი დეკლარაცია, რომლითაც ფ.-ტელეგრაფის მოსამსახურენი სოციალურათ ყველ ფერში გათანასწორებული იქნებიან; დეკლარაციით ფოსტა ტელეგრაფის მოსამსახურეთა პროფესიონალური კავშირის უფლებათა ყოველნაირი შეზღუდვა გაუქმებული იქნება. პროფესიონალურ კავშირს უფლება ეძლევა ფოსტა-ტელეგრაფის ყველა მოსამსახურეების ალაგზე მიღება დათხოვის და უფროსების გადაყენებისა. ფოსტა-ტელეგრაფიდან განდევნილი იქნება ყველა კონტრ-რევოლიუციონური ელემენტები და მათ ალაგს ხალხის ჭეშმარიტი შვილები დაიკავებენ. ფოსტა-ტელეგრაფის პროლეტარიატისთვის შემოიღებენ სოციალურ დაზღვევას დაშავებას, მოხუცებულობის და უმუშევრობის შემთხვევებისათვის. ყველა მოსამსახურეების, განსაკუთრებით მდაბალი ნივთიერი მდგომარეობა გაუმჯობესებული იქნება.

დასასრულ ხალხის კომისარი ავილოვი მოწოდებით მიმართავს ფოსტა-ტელეგრაფის მოსამ ახურეთ, რომ გულდასმით წაიკითხონ ეს პროგრამა და დარწმუნდენ, თუ ვის მიჰყავს ისინი დაღუპვისაკენ და ვინ ურჩევს მათ საბოტაჟი და ბოიკოტი გამოუცხადონ ახალ მთავრობას.

**ფოსტა ტელეგრაფის მოსამსახურეთა აღმასრულებელ კომიტეტი.**

ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა კავშირების ცენტრალური კომიტეტი ყველა საოლქო ორგანიზაციებს აუწყებს, რომ სასწრაფოთ დაინიშნა 20 ნოემბრისათვის დელეგატთა საბჭოების სიეზდი, რომელიც გადაჭრის საკითხს, თუ რა დამოკიდებულება ექონიოს ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა კავშირმა ახალ მთავრობასთან. მანამდე კი ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებს ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთ გაფიცვები შეაჩერონ და მუშაობას შეუდგენ, რათა სახელმწიფოს მექანიზმი აღდგენილ იქნას და ქვეყანა დაღუპვისაგან იხსნან.

ც. კომიტეტის თავმჯდომარე კინგი

ხუთშაბათს 9 ნოემბერს საღამოს 8 საათზე ამხ. მ. ცხაკაია ნაძალადევის თეატრში წაიკითხავს დამფუძნებელი კრების ფონდის სასარგებლოდ

## ლექციას

შემდეგ თემაზე: დამფუძნებელი კრება და მიმდინარე მომენტი. შესავალის ფასი 50 კაპ.

# № 5 სია № 5

## დამფუძნებელი კრების

**კანდიდატებისა,**

რომელიც წამოყენებულია კავკასიის საოლქო კომიტეტის მიერ (რ. ს.-დ. მ. პ. (ბოლშევიკებისა).

1. შაუმიანი სტეფანე გეორგის ძე, სრულიათ რუსეთის მუშათა და სალდათთა დეპუტატთა საბჭოების ცენტრ. აღმ. კომიტეტის წევრი. ბაქო.

2. ჯუღაშვილი (კობა, სტალინი) იოსებ ბესარიონის ძე, ლიტერატორი. პეტროგრადი.

3. ნარიმანოვი ნარიმანი, დოქტორი. ბაქო,

4. ფიოლეტოვი ივანე ტიმოთეს ძე, მუშა. ნავთის მრეწველობის მუშათა პროფესიონალური კავშირის თავმჯდომარე და ბაქოს მუშათა და სალდათთა დეპუტატების საბჭოს ა. კ. წევრი. ბაქო-ბალახანა.

5. ცხაკაია მიხეილი გრიგოლის ძე, ჟურნალისტი, თფ. საქ. საბჭოს ხმოსანი. თფილისი.

6. მახარაძე ფილიპე იესეს ძე, ლიტერატორი. თფ. საქ, საბჭოს ხმოსანი. თფილისი.

7. ჯაფარიძე (ალიოშა) პროკოპი აფრასიონის ძე, ბაქოს მ. და ს. დ. საბჭოს წევრი. ბაქო.

8. თოდრია სილიბისტრო იესეს ძე, მუშა, თფ. მ. პროფ. კავშ. ც. ბიუროს წევრი. თფილისი.

9. ნაზარეტიანი ამაიაკი მარქარის ძე, თფ. მ. დ. ს. დ. ს. წევრი. თფილისი.

10. ქავთარაძე სერგეი ივანეს ძე, იურისტი, ჟურნალისტი. თფილისი.

11. კუზნეცოვი ნიკოლოზ მიხეილის ძე, სტატისტიკოსი, თფ. მ. და ს. დ. ს. ა. კ. წევრი. თფილისი.

12. ისრაფილბეკოვი მაკუბეი, დოქტორი. ბაქო.

13. დენისოვი ათანასე ექვთიმეს ძე, სალდათი, თფ. მ. და ს. ა. კ. წევრი.

14. ოკუჯავა მიხეილ სტეფანეს ძე, იურისტი, ჟურნალისტი. თფილისი.

15. ხანოიანი სარქის მელიქ., პედაგოგი, ჟურნალისტი. თფილისი.

16. მიშჩენკო კორნილი ვასილის ძე, სალდათი, თფ. მ. და ს. წევრი. თფილისი.

17. ზავეროდოვი დანიელი ალექსის ძე, ნაფიცი ვექილი, თფ. საქ. საბ. ხმოსანი, თფილისი.

18. ენუქიძე აბელი სოფრომის ძე, სალდათი. სრულიათ რუსეთის მ. და ს. დ. საბჭ. აღ. კ. წევრი. პეტროგრადი.

19. ტოროშელიძე მალაქია გიორგის ძე, იურისტი, ჟურნალისტი. თფ. საქ საბ. ხმოსანი, თფილისი.

20. რამონოვი ევგენი დავითის ძე, სამხედრო ექიმი, თფილისი.

21. ხარგარიანცი ალექსანდრე ოჰანესის ძე, მუშა, ბაქოს მუშათა და სალ. დეპ. საბჭოს ა. კ. წევრი. ბაქო.

22. ერქომაიშვილი ალექსანდრე მიხეილის ძე, კოოპერატორი, თფილისი.

23. იაგუბოვი სეითი დოკაფერი, მუშა. ბაქო-ბალახანა.

24. დუმბაძე ვლადიმერი ელიზბარის ძე, მუშა, თფ. მ. პროფ. კავშ. ც. ბიუროს წევრი. თფილისი.

25. კოლესნიკოვა ნადეჟდა ნიკოლოზის ასული, პედაგოგი. ბაქო.

26. აზიზბეკოვი მეშადი-ბეგ, ინჟინერი. ბაქო.

27. ნანეიშვილი ბიქტორ ივანეს ძე, პედაგოგი ბაქო.

28. ათაბეგოვი არშაკი ნაზარის ძე, ბუნების მეტყ, თფ. საქ. ს. ხმოსანი

29. არველაძე პეტრე იაკობის ძე, სალდათი. ალექსანდროპოლი.

30. ზევინი იაკობი დავითის ძე (პავლე კუზმინი) მუშა. ბაქო-ბალახანა.

31. ლექავა სიმონ კონსტანტინეს ძე, დოქტორი. ფოთი.

32. გაბრიელიანცი (კარინი ნ) არტემ ვასილის ძე, იურისტი, ჟურნალისტი. ბაქო.

33 თერიანი ვაგანი სუკიასეს ძე, პოეტი. ახალქალაქი.

34. მრავიან ასკანეზ არტემის ძე, პედაგოგი, ჟურნალისტი. თფილისი,

35. ბიკოვი მიხეილ ივანეს ძე, მუშა ბაქო-ბალახანა.

36. იოანისიანცი აშოტ გარეგინეს ძე პედაგოგი, ეჩმიაძინი.

**კავკასიის საოლქო კომიტეტი**
**რ. ს.-დ. მ. პ. (ბოლშევიკები).**

ელექტრო-მბეჭდავი სტამბა „ქართლი", ლორის-მელიქოვის ქუჩა.